

შპს "ზარაფხანა"-202445540

ფინანსური ანგარიშგება საანგარიშო წლისათვის,
რომლიც დასრულდა 2021 წლის დეკემბრის
ბოლოს.



ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)

	შენიშვნა	2021	2020
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	655 130,02	664 706,93
არამატერიალური აქტივები	5	12 793,86	15 596,94
საინვესტიციო ქონება	10		
სულ გრძელვადიანი აქტივები		667 923,88	680 303,87
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუქტ	6	275 966,56	325 767,20
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	7	995 278,70	719 791,60
მარაგები	8	3 103 185,08	2 959 657,97
წინასწარ გადახდილი გადასახადები			
გაცემული სესხები			
სულ მოკლევადიანი აქტივები		4 374 430,34	4 005 216,77
სულ აქტივები		5 042 354,22	4 685 520,64

მთლიანი კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი	(3 718 547,00)	(3 718 547,00)
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	424 361,18	738 579,97
გადაფასების რეზერვი		
სულ კაპიტალი	(3 294 185,82)	(2 979 967,03)

ვალდებულებები

გრძელვადიანი სესხები	11	(1 084 975,21)	(1 238 135,50)
გრძელვადიანი ფინანსური იჯარის ვალდებულება			
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		(1 084 975,21)	(1 238 135,50)

მოკლევადიანი ვალდებულებები

მოკლევადიანი სესხები	11	-	-
ფინანსური იჯარის მიმდინარე ნაწილი			
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	9	(524 571,68)	(299 171,08)
საგადასახადო ვალდებულებები	200	(138 621,51)	(168 247,03)
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		(663 193,19)	(467 418,11)
სულ ვალდებულებები		(1 748 168,40)	(1 705 553,61)

სულ კაპიტალი და ვალდებულებები		(5 042 354,22)	(4 685 520,64)
--------------------------------------	--	-----------------------	-----------------------

ფინანსური დირექტორი

ბუღალტერი



შპს "ზარაფხანა"

მოგება - ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2021
წლის დასრულებული წლისათვის
(ლარში)

	შენიშვნა	2021
ამონაგები	<u>12</u>	(4 788 423)
თვითღირებულება	<u>13</u>	2 344 569
საერთო მოგება		(2 443 854)
სხვა შემოსავლები		(46 545)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	<u>16</u>	1 546 108
მიწოდების და მარკეტინგის დანახარჯები	<u>14</u>	456 073
სხვა ხარჯები	<u>15</u>	48 845
საოპერაციო მოგება		(439 374)
ფინანსური შემოსავალი		(49 585)
ფინანსური ხარჯი	<u>17</u>	174 740
წმინდა სავალუტო ზარალი/მოგება		
მოგება დაბეგვრამდე		(314 219)
მოგების გადასახადი	<u>18</u>	
წმინდა მოგება		(314 219)
სხვა სრული შემოსავალი:		
გადაფასების რეზერვი		
მთლიანი სრული შემოსავალი		(314 219)

ფინანსური დირექტორი

ბუღალტერი



შპს "ზარაფხანა"

მოგება - ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2020
წლის დასრულებული წლისათვის
(ლარში)

	შენიშვნა	2020
ამონაგები	<u>12</u>	(3 208 203)
თვითღირებულება	<u>13</u>	1 608 511
საერთო მოგება		(1 599 693)
სხვა შემოსავლები		(38 346)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	<u>16</u>	1 315 187
მიწოდების და მარკეტინგის დანახარჯები	<u>14</u>	360 193
სხვა ხარჯები	<u>15</u>	50 546
საოპერაციო მოგება		87 887
ფინანსური შემოსავალი		(50 267)
ფინანსური ხარჯი	<u>17</u>	155 167
წმინდა სავალუტო ზარალი/მოგება		62 082
მოგება დაბეგვრამდე		254 869
მოგების გადასახადი	<u>18</u>	
წმინდა მოგება		254 869
სხვა სრული შემოსავალი:		
გადაფასების რეზერვი		
მთლიანი სრული შემოსავალი		254 869

ფინანსური დირექტორი

ბუღალტერი



[Handwritten signature]

[Handwritten signature]

შპს "ზარაფხანა"

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
(ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2020 წლის 31 დეკემბერი	(3 718 547)		738 579,97	(2 979 967)
წმინდა მოგება	-	-	(314 219)	(314 219)
სხვა სრული შემოსავალი	-	-		-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	(314 219)	(314 219)
გაცემული დივიდენდი	-	-		
საწესდებო კაპიტალის ზრდა		-		
2021 წლის 31 დეკემბერი	(3 718 547)	-	424 361	(3 294 186)

ფინანსური დირექტორი

ბუღალტერი



[Handwritten signature]

შენიშვნა-8 მარაგები

	ლარში	
80	მზა პროდუქცია	
81	ნედლეული	
82	დაუმთავრებელი წარმოება	
83	საქონელი	
84	სხვა მარაგები	

516 443
2 540 867
-
-
45 875
3 103 185

შენიშვნა-7 სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

70	სავაჭრო დებიტორული დავალიანებები	
71	საექვო ვალების ანარიცხების რეზერვი	
72	სხვა მოთხოვნები	

62 895
-
932 384
995 279

შენიშვნა-6 ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები

	ლარში	
61	ფული საღაროში	
62	ფული საბანკო ანგარიშებზე	

41 056
234 911
275 967

შენიშვნა-9 სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

	ლარში	
90	სავაჭრო ვალდებულებები	
91	გადასახდელი ხელფასები	
92	გადასახდელი პროცენტები	
93	გადასახდელი დივიდენდები	
94	სხვა ვალდებულებები	

(245 706)
(18 130)
(260 736)
-
(138 622)
(663 193)



[Handwritten signature]

შენიშვნა-12 ამონაგები

ლარი	
121	მზა პროდუქციის რეალიზაცია
123	სხვა შემოსავლები
	მომსახურების რეალიზაცია
	(4 788 423)
122	სხვა შემოსავლები
110	სხვა შემოსავლები / კურსთაშორის სხვაობა /
	(46 545)
	(49 585)

შენიშვნა-13 თვითღირებულება

ლარი	
131	მზა პროდუქციის თვითღირებულება
132	ნედლეულის თვითღირებულება
133	მომსახურების თვითღირებულება
	2 344 569

შენიშვნა-13 რეალიზებული მზა პროდუქციის თვითღირებულების კომპონენტები

134	პირდაპირი მასალები	1 479 363
135	შრომითი ანაზღაურება	610 983
136	კომუნალური	
137	იჯარა	
138	ცვეთა	133 358
139	დამხმარე მასალები	91 340
1391	რემონტები	
1392	სხვა	29 525
		2 344 569

შენიშვნა-14 მიწოდების და მარკეტინგის დანახარჯები

141	სარეკლამო ხარჯები	60 567
142	იჯარის ხარჯი	297 264
143	სატრანსპორტო მომსახურების ხარჯი	3 923
144	რეალიზაციის დანახარჯები	94 319
		456 073

შენიშვნა-15 სხვა ხარჯები


ლარი		
151	დებიტორული დავალიანების რეზერვის ხარჯი	-
152	მარაგების გაუფასურება	-
153	დაზღვევის ხარჯი	48 845
154	მზა პროდუქციის განადგურების ხარჯი	-
155	მოგების გადასახადის ხარჯი - კანონმდებლობის თანახმად	-
156	ქონების გადასახადი	-
		48 845


შენიშვნა-16 ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი

	ლარი	
161	შრომის ანაზღაურება	1 279 570 V
162	რემონტის ხარჯი	5 133
163	საგადასახადო ხარჯი	8 081
164	საკონსულტაციო ხარჯი	30 350
165	დაცვის ხარჯი	47 009
166	ბანკის მომსახურება	64 425
167	საწვავის ხარჯი	23 499
168	იჯარის ხარჯი	V
169	მივლინების ხარჯები	2 213
1691	სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	58 652
1692	კომუნიკაციის ხარჯები	27 174
		1 546 108

შენიშვნა-17 ფინანსური ხარჯი

ლარი		-
171	ბანკის სესხის პროცენტი	168 587 V
172	ზარალი საკუროსო სხვაობიდან	V
173	სხვა ფინანსური ხარჯები	6 680
		175 266





1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ზარაფხანა“ (შემდეგ - კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა 2011 წლის 16 სექტემბერს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრირებულია თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ, საიდენტიფიკაციო ნომრით 202445540 კომპანიის იურიდიული/ფაქტიური მისამართია: ქ.თბილისი, ლუბლიანს ქუჩა 13. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ძვირფასეულობის და მასთან დაკავშირებული ნაკეთობების წარმოება.

კომპანიის დირექტორია თორნიკე სამხარაძე -პ/ნ 01001067960
2021 წელს კომპანიის საშუალო თანამშრომლების რაოდენობა იყო 100 ადამიანი.

1. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძველები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. ფინანსური-ანგარიშგება მომზადებულია დარიცხვის მეთოდით, საწარმო აკმაყოფილებს ფუნქციონირებადი საწარმოს მოთხოვნებს;

მსს ფასს სტანდარტების პირველადი გამოყენება


კომპანია მსს ფასს სტანდარტებზე გადავიდა 2018 წლის 1 იანვარს, კომპანია წარადგენს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, 2021 წლის 1 იანვრის და 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე 2021 წლის საქმიანობის შედეგების ანგარიშგებას და 2021 წლის კაპიტალში მომხდარი ცვლილებების ანგარიშგებას, ასევე შესაბამის ახსნა განმარტებით შენიშვნებს;

შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

(ა) ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა

თავის ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

(ბ) ტრანზაქციები და ბალანსი



ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირებულია ფუნქციონალურ ვალუტაში ოფიციალური გაცვლით კურსით ბალანსის შედგენის დღისთვის. მოგება და ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან ოპერაციების ანაზღაურებისას და ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციისას წლის ბოლოს არსებული ოფიციალური კურსით აღიარებულია მოგებად ან ზარალად. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს.

2020 წლის 31 დეკემბერს და 2019 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი

პერიოდი	დოლარი	ევრო
კურსი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის	2,2766	4.0233
კურსი 2021 წლის 31 დეკემბრისთვის	3,0976	3,5040

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები:

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები, რომლებიც გამოყენებულია ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას, მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკები ეხება წარდგენილ ყველა წელს, თუ განსხვავებული არ არის განცხადებული.

ტერმინების განმარტებები:

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც წარმოშობს ერთი საწარმოს ფინანსურ აქტივს, ხოლო მეორე საწარმოს ფინანსურ ვალდებულებას. ფინანსური აქტივი ფინანსური ინსტრუმენტის ერთ-ერთი სახეობაა.

კომპანია ფინანსური აქტივების სახით ფლობს, მსს ფასს 11 განყოფილების „ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტების“ თანახმად, შემდეგ ძირითად ფინანსურ ინსტრუმენტებს:

ა) რეზიდენტი ბანკების საბანკო ანგარიშებზე განთავსებულ ფულად სახსრებს;

და

ბ) 3 თვემდე მოთხოვნამდე და 12 თვემდე ფიქსირებულვადიანი დეპოზიტების საბანკო ანგარიშებს რეზიდენტ ბანკებში.

კომპანია განსაზღვრავს ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას თავდაპირველი აღიარებისას ჯგუფების მიხედვით.

კომპანია იმ შემთხვევაში აღიარებს ფინანსურ აქტივს ან ფინანსურ ვალდებულებას, თუ საწარმო ხდება სახელშეკრულებო პირობების მონაწილე.

თავდაპირველად ფინანსური აქტივები ფასდება თვითღირებულებით. ფინანსური აქტივების თვითღირებულება არის ოპერაციის/გარიგების ფასი გარიგების დანახარჯების ჩათვლით.

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას როდესაც, აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს გასდის ვადა.

ფინანსური ვალდებულებები, აღიარება და აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია სავაჭრო და სხვა ფინანსური ვალდებულებების სახით. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით.

ვალდებულებების პირვანდელი ღირებულება არის მიღებული არაფულადი აქტივების რეალური ღირებულება ვალდებულების წარმოქმნის მომენტისათვის, რომლის სანაცვლო ფულადი აქტივი ჯერ არ მიწოდებულა;

ან, მიღებული ფულადი სახსრების ოდენობა, რომლის სანაცვლო არაფულადი აქტივი ჯერ არ მიწოდებულა;

ან, ზოგიერთ შემთხვევაში (მაგალითად, მოგების გადასახადისათვის), იმ ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების ოდენობა, რომლის საწარმოდან გასვლა მოსალოდნელია ვალდებულების დასაფარავად საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში.

კომპანია ფინანსური ვალდებულების აღიარებას წყვეტს მაშინ, როცა ვალდებულება სრულდება, უქმდება ან გასდის ვადა. საკურსო სხვაობა ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

გადაფარვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადაფარული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ როდესაც, არის კანონიერი უფლება, რომ აგრეგირდეს აღიარებული თანხები და არის განზრახვა წარდგენილ იქნეს ნეტო თანხით ან გაიყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის ისეთი აქტივები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიცვლება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე.

სავაჭრო მოთხოვნები და გაცემული სესხები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც

საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

მარაგები

მარაგები საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენისა და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მაგალითად, ტრანსპორტირებისა და იმპორტის ხარჯები, ასევე სხვა პირდაპირი ხარჯები. მარაგების ჩამოწერა ხორციელდება საშუალო შეწონილი მეთოდით.

ძირითადი საშუალებები

ა) თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით. თვითღირებულება შეძენის ფასთან ერთად მოიცავს პირდაპირ დანახარჯებს და მათთან დაკავშირებული ნებისმიერი მომავალი ვალდებულების მიმდინარე ღირებულებას, ისევე როგორც მიმდინარე შესყიდვის ფასს, ასევე აქტივთან უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.


იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად.

მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ა) შემდგომი ხარჯები

შემდგომი ხარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება, როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ბ) ცვეთა



ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად.

ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდით, სასარგებლო მომსახურების ვადის მიხედვით;
ქვემოთ მოცემულია ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები კატეგორიების მიხედვით:

ძირითადი საშუალების ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წლები)
ნაგებობები	15-20
მანქანა- დანადგარები	5-10
სატრანსპორტო საშუალებები	5-10
ავეჯი და სხვა ინვენტარი	3-5
	30-50
ელექტრო მოწყობილობები	5-10

აქტივის გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივებისა გატესტვა გაუფასურებაზე, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება აქტივის საბალანსო ღირებულება, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში

სავაჭრო ვალდებულება

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

დაბეგვრა

კომპანიის გადასახადი გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად.

გადასახადები აღიარდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები წარდება, როგორც საგადასახადო აქტივები.

ამონაგების აღიარება

კომპანიის მიერ მომსახურებიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება, მომსახურების დასრულების შემდგომ, როდესაც მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში და ამონაგების ოდენობის შეფასება საიმედოდ არის შესაძლებელია. თუ ამონაგები უკვე ასახულია და ამის შემდეგ საექვო გახდა თანხის მიღება, ამოსაღები თანხა აისახება როგორც ხარჯი და არა როგორც თავდაპირველად აღიარებული ამონაგების თანხის კორექტირება.

ხარჯების აღიარება

კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, რომელიც პირდაპირ არ არის დაკავშირებული პროდუქციის რეალიზაციასთან.

მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვეტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

სახელფასო განაცემები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

- ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები - ძირითად საშუალებებზე და არამატერიალურ აქტივებზე ცვეთისა და ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.
- მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხები - კომპანია რეგულარულად აფასებს მოთხოვნებს გაუფასურებაზე. გაუფასურების ნიშნების არსებობის შემთხვევაში ხელმძღვანელობა აფასებს დებიტორული დავალიანების მომავალ ფულად ნაკადებს, ხოლო თუ საჭიროა ინდივიდუალური დებიტორის მომავალ ფულად ნაკადებს. გაუფასურების ნიშნები შეიძლება იყოს დებიტორის მიერ გადახდების გაუარესება, ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური ფაქტორები, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენს მასზე. ხელმძღვანელობა წარსული გამოცდილების საფუძველზე აფასებს მოთხოვნების გაუფასურებას. მომავალი ფულადი ნაკადების მოცულობის და დროში განაწილების შეფასების მეთოდოლოგია ხელმძღვანელობის მიერ გადაიხედება პერიოდულად, რათა შემცირდეს სხვაობა შეფასებულ და ფაქტიურ დანაკარგებს შორის.
- სასამართლო დავები - კომპანია ანარიცხს სასამართლო დავებთან დაკავშირებით აღიარებს მხოლოდ მაშინ, როდესაც ადგილი აქვს მიმდინარე ვალდებულებას, რომელიც წარსულში მომხდარი ქმედების შედეგია, მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიისგან და შესაძლებელია მისი საიმედოდ განსაზღვრა. იქ, სადაც რომელიმე კრიტერიუმი არ კმაყოფილდება, პირობითი ვალდებულება შეიძლება იქნას გაშიფრული ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის განმარტებით შენიშვნებში. ნებისმიერი პირობითი ვალდებულების დადგომას, რომლის აღიარება ან გაშიფვრა ფინანსურ ინფორმაციაში ჯერ არ მომხდარა, შეიძლება ქონდეს არსებითი გავლენა ფინანსურ ინფორმაციაზე. აქედან გამომდინარე კომპანიის ხელმძღვანელობისგან აღნიშნული ფაქტი მოითხოვს მნიშვნელოვან შეფასებებს არსებულ თუ მომავალ სასამართლო დავებთან დაკავშირებით. კომპანია განიხილავს ყოველ მიმდინარე სასამართლო დავას და აფასებს მის შედეგებს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის, რათა განსაზღვროს საჭიროა თუ არა შესაბამისი ანარიცხის შექმნა. შეფასების დროს გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები: დავის ხასიათი, მომჩივანია თუ მოპასუხე, სასამართლო პროცესის მიმდინარეობა და პოტენციური ზარალის დონე, იურისტების მიმოხილვა და რჩევები, გამოცდილება მსგავსი შემთხვევებიდან და სხვა. 2019 წლის 31 დეკემბრისა და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას აქვს სასამართლო დავები.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები


2021 წელს საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მოვლენებს ადგილი არ ქონია

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ARAPANA LTD

კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგება გამოსაცემად
დამტკიცებულია 2022 წლის 01 ნოემბრით.

დირექტორი: 



დირექტორი: 

